

სალომე ომიაძე

ტერმინოლოგიური სინონიმებიდან ტერმინოლოგიურ პარონიმებამდე

ტერმინი, როგორც განსაკუთრებული ენობრივი ნიშანი, სხვა ძირითად ნიშნებთან ერთად, კონვენციურობით ხასიათდება. მართალია, კონვენციურობის გამო ტერმინს ზუსტი დეფინიცია, წინასწარ დადგენილ-შეთანხმებული მკაცრი განსაზღვრება აქვს, რაც, თავის მხრივ, ტერმინის მონოსემიურობას უნდა უზრუნველყოფდეს, მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ ხდება. როგორც აღვნიშნეთ, ტერმინი განსაკუთრებული ენობრივი ნიშანია, მაგრამ იგი, შეიძლება ითქვას, ინარჩუნებს და ინახავს ჩვეულებრივი ენობრივი ნიშნისათვის დამახასიათებელ ლექსიკურ-სემანტიკურ უნარებს, რომლებსაც სათანადო პირობებში ავლენს კიდეც. ამდენად, იმგვარი ლექსიკურ-სემანტიკური პროცესები, როგორიცაა პოლისემია, ომონიმია, სინონიმია თუ პარონიმია, ტერმინოლოგიაშიც საგანგებოდ შესასწავლი საკითხებია.

ცოდნის ინტეგრაციის, დიფერენციაციისა და გაღრმავების დინამიკური პროცესები, რითაც საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპი გამოირჩევა, მეცნიერების ენაშიც აისახება. იცვლება ტერმინოლოგიური სისტემები, რაც ბუნებრივი და კანონზომიერი მოვლენაა იმდენად, რამდენადაც მეცნიერული ცოდნის განვითარება-გაღრმავება, მრავალი სამეცნიერო სკოლისა თუ მიმართულების ფორმირება განაპირობებს არსებულ ტერმინთა შინაარსის ევოლუციას, ახალი ტერმინოლოგიური ერთეულების წარმოშობასა და ტერმინოლოგიურ ვარიანტთა წრის გაფართოებას.

სინონიმთა არსებობა საერთო სალიტერატურო ენაში თუ ერთმნიშვნელოვნად დადებით მოვლენად, ენის სიმდიდრის ნიშნადაა მიჩნეული, ტერმინოლოგიური სინონიმია უმეტესად უარყოფითად ფასდება იმიტომ, რომ ტერმინოლოგიური სინონიმების შექმნით ირღვევა ტერმინოლოგიური სისტემის მთავარი დებულება, რომლის თანახმადაც ერთ აღსანიშნს ერთი ნიშანი უნდა ჰქონდეს და ერთი ნიშანი მხოლოდ ერთ აღსანიშნს უნდა შეესაბამებოდეს.

ჩვენი ინტერესის საგანია ტერმინოლოგიური წყვილი **პერიფრაზი – პარაფრაზი**, რომლის ცალეხსაც ზოგიერთი ლინგვისტი დღესაც სინონიმებად მიიჩნევს, რისი დასტურიცაა ბოლო 10-15 წლის განმავ-

ლობაში გამოცემული ლექსიკონები, ენციკლოპედიები თუ სხვა საცნობარო ლიტერატურა, რომლებშიც წყვილის ერთ-ერთი ცალის განმარტებას კვლავ მოსდევს აღნიშვნა, რომ იგივეა, რაც მეორე.

„დუბლეტები, ანუ აბსოლუტური სინონიმები, რომლებიც არავითარ ნიუანსობრივ სხვაობას არ იძლევა ენაში, მართლაც, საზიანოა ტერმინოლოგიური სისტემისათვის. ისინი, გარდა იმისა, რომ დასახსოვრებად სირთულეს უქმნიან სპეციალისტებს, ქმნიან საშიშროებას, რომ დროთა განმავლობაში მათ შორის მოხდება მნიშვნელობათა გადანაწილება და ხელს შეუწყობენ ტერმინთა ხმარების არაადეკვატურ, მცდარ გააზრებას“, ვკითხულობთ როგნედა ღამბაშიძის ნაშრომში, რომელიც ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის ძირითად პრობლემათა პირველი მონოგრაფიული გამოკვლევაა (ღამბაშიძე, 1986:40).

ჩვენ მიერ განსახილველი წყვილის ცალები თუ ადრე მართლაც აბსოლუტურ სინონიმებს წარმოადგენდნენ, ანუ ნულოვანი ოპოზიცია ახასიათებდათ, დღეს ისინი უკვე ინაწილებენ კონტექსტებს, მოხმობილ ციტატაში ხსენებული „მნიშვნელობათა გადანაწილება“ დაწყებულია და ზოგიერთი ენის ტერმინოლოგიურ სისტემაში გაფორმებულიც არის. ლექსიკონებისა და ენციკლოპედიების რუსულ-, ინგლისურ-, ფრანგულ-, ესპანურენოვანი სამეცნიერო საიტები (შესაძლოა სხვაენოვანიც) **პერიფრაზი – პარაფრაზი** წყვილის ძებნისას საგანგებო მითითებას გვთავაზობენ და გვაფრთხილებენ, რომ ერთი მეორეში არ აგვერიოს. ამავე ლექსიკონებზე დაყრდნობით, აღნიშნული წყვილის ცალთა არაერთი დეფინიციის ანალიზით, გამოვავლინეთ ინვარიანტული ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც **პარაფრაზი** სხვისი ტექსტის საკუთარი სიტყვებით გადმოცემას ნიშნავს. აქვე მოვიყვანთ დეფინიციებში მოქცეულ ყველაზე გავრცელებულ განსხვავებულ ინფორმაციასაც, პარაფრაზი ეწოდება:

- ვრცელი ტექსტის მოკლედ გადმოცემას, ანუ მოცულობითის ადაპტაციას;
- ძნელად გასაგები ტექსტის სათანადო მოკლე ახსნა-განმარტებებით გადმოცემას, ანუ შინაარსობრივ ადაპტაციას;
- პროზაული ტექსტის ლექსად გარდაქმნას;
- ლექსების პროზაულად გარდათქმას;
- ტექსტის ნაწილობრივ გადმოცემას;
- თეორიული ტექსტის გასაგებად საგანგებოდ შექმნილ სასწავლო კომენტარს (ამ ტიპის კომენტარების შექმნა ძველ-

ბერძენი ფილოსოფოსის, თემისტოქოსის სახელს უკავშირდება, რომლის პარაფრაზები განკუთვნილი იყო არისტოტელეს ტექსტთა პარალელურად წასაკითხად).

უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ დასახელებულ ლექსიკონებსა და ენციკლოპედიებში პარაფრაზს სინონიმები არ მოეპოვება, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ რუსულენოვან საცნობარო ლიტერატურაში ამ ტერმინის სქესის მიხედვით განსხვავებულ ორ ვარიანტს ვხვდებით: **парафраз** (მამრ.სქ.) და **парафрази** (მდედრ. სქ.).

რაც შეეხება **პერიფრაზს**, მისი სალექსიკონო სინონიმებია **პერიფრასტული გამოთქმა**, **პერიფრასტული კონსტრუქცია** და **ტროპი**. მხოლოდ ეს ინფორმაციაც კმარა ორი ტერმინით – **პარაფრაზითა** და **პერიფრაზით** – ნაგულისხმევი ტექსტის მოცულობითი სხვაობის დასანახავად: პარაფრაზი ბევრად უფრო ვრცელია, ვიდრე პერიფრაზი. პერიფრაზის უფრო ზუსტი დახასიათება კი შემდეგია: **პერიფრაზი** ტროპის სახეა, რომელიც ერთი (ან ორი) სიტყვით გამოხატულ ცნებას რამდენიმესიტყვიანი გამოთქმით აღწერითად გადმოსცემს. **პარაფრაზსა** და **პერიფრაზს** საერთო ისა აქვთ, რომ ორივე გარდათქმას წარმოადგენს, თუმცა სხვადასხვაგვარს. პერიფრაზი ობიექტის არაპირდაპირი მოხსენიებაა აღწერა-დახასიათებით და არა სახელდებით. პერიფრაზში აღსაწერი ცნების სახელდება ჩანაცვლებულია მის თვისებებზე მინიშნებით. ასხვავებენ პერიფრაზის ლოგიკურ, გრამატიკულ, რიტორიკულსა და ხატოვან სახეებს:

- ლოგიკური პერიფრაზის ნიმუშებია: „საქართველოს დედაქალაქი“ თბილისის ნაცვლად, „მერანის“ ავტორი“ ბარათაშვილის ნაცვლად და სხვ. ამგვარი პერიფრაზები ობიექტურ მონაცემებს ეყრდნობა.

- გრამატიკული პერიფრაზის ნიმუშია აღწერითი ვნებითური კონსტრუქციები – „გაკეთებულ იქნა“ ნაცვლად ფორმისა „გაკეთდა“. ამგვარ კონსტრუქციებს სხვაგვარად **პერიფრასტულ ვნებითებსაც** უწოდებენ.

- ყოფითი რიტორიკის პერიფრაზული სახეა ლიტოტესი, რომელიც გამოთქმის განზრახ შესუსტებას, შერბილებას გულისხმობს, რაც რაიმე ცნების განმარტებაში მისი საპირისპირო ცნების უარყოფის გზით ხორციელდება, მაგალითად, „არ არის კარგი ამბავი“ „ცუდი ამბავის“ ნაცვლად.

- ეფემერული შენაცვლებაც, რომელსაც სხვადასხვაგვარი მოტივაცია შეიძლება ჰქონდეს, პერიფრაზის ერთ-ერთი სახეა.

• ხატოვანი პერიფრაზები **მეტაფორის**, **მეტონიმის**, **სინეკდოქესა** თუ სხვა ტროპების საფუძველზე აიგება. მათი დანიშნულებაა სათქმელისათვის მეტი გამომსახველობის მინიჭება, მოვიყვანო რამდენიმე მაგალითს ქართული პოეზიიდან: „ცოდვის სადგური“ [ეს ქვეყანა] (ი. ჭავჭავაძე); „შეწყვეწილი ნაბიჯების ქვეყანა“ [საიქიო] (გ. გეგეჭკორი); „მყინვარის გიჟი მდინარე“ [თერგი] (გ. ტაბიძე), საქართველოს პოეტური პერიფრაზებია „რუსთაველის დიდი ქვეყანა“ (ი. გრიშაშვილი), „დიდების მსურველი პატარა მხარე“ (შ. ნიშნიანძე) და სხვ.

აქვე უნდა ითქვას, რომ ზოგიერთ ხშირად გამოყენებულ პერიფრაზს დაკარგული აქვს ზემოქმედების ძალა, თუმცა წარმოშობით მხატვრული გარდათქმის შედეგია, ასეთებია, მაგალითად: „ყვავილთა მეფე“ ნაცვლად ვარდისა, „ცხოველთა მეფე“ ნაცვლად ლომისა. თავდაპირველი ემოციურ-შეფასებითი ელფერი გახუნებულია და არ შეიგრძნობა სხვადასხვა ქვეყნისა თუ ქალაქის ისეთ პერიფრაზულ დასახელებებშიც, როგორიცაა „აღთქმული მიწა“ [ისრაელი], „ამომავალი მზის ქვეყანა“ [იაპონია], „მარადიული ქალაქი“ [რომი] თუ სხვა.

ხატოვანი პერიფრაზები ყველაზე ხშირად გამოიყენებოდა გვიანი კლასიციზმის ეპოქაში, როდესაც ლექსიკის შერჩევას მკაცრად ეკიდებოდნენ და უბრალო სიტყვები არაპოეტურად მიაჩნდათ. მეოცე საუკუნის ქართული პოეზიის ენაში ფართოდაა გავრცელებული განკერძოებული **დანართი-პერიფრაზი**, რომელსაც ექსპრესიულობის მაღალი ხარისხი გამოარჩევს. ამ ტიპის ექსპრესიულ პერიფრაზთა ერთი ნაწილი ხატოვანი ნომინაციისაკენ იხრება, მეორე კი ახლოს დგას ხატოვან დეფინიციასთან, ორივე შემთხვევაში დენოტატის მხატვრული პერიფრაზირება ხდება, თანაც იმგვარად, რომ სინტაქსურ კონსტრუქციაში დენოტატის პირდაპირი და არაპირდაპირი აღმნიშვნელები ერთმანეთის გვერდითაა წარმოდგენილი: „ილია – შუბლი საქართველოსი“ (გ. ლეონიძე); „მთვარე – ღრუბლების თეთრი პინგვინი“ (გ. ტაბიძე), „რომი – ხელოვნების ადგილის დედა“ (შ. ნიშნიანძე) და სხვ.

პარაფრაზი და პერიფრაზი რომ სინონიმებად მიიჩნეოდა, ამას ის სამეცნიერო ტექსტებიც მოწმობს, სადაც ერთი აზრის ფარგლებში არსებით სახელად თუ ერთია გამოყენებული, მოქმედების სახელის ფუძედ მეორეა ნახმარი: **პარაფრაზი – პერიფრაზირება; პერიფრაზი – პარაფრაზირება**. ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში ორივე სახელი და ორივესაგან ნაწარმოები ნასახელარი ზმნური საწყისი გვხვდება (თოფურია, გიგინეიშვილი, 1998:412, 414), მაგრამ თანამედ-

როვე ქართულ სამეცნიერო თუ პუბლიცისტურ ლიტერატურაში იშვიათი არ არის, რუსულის გავლენით, მესამე ვარიანტის – **პერეფრაზი** – **პერეფრაზირების** – ხმარება, რაც შეცდომად უნდა შეფასდეს.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ განსახილველი წყვილის ცალებს შორის არსებული სინონიმია, მნიშვნელობის დიფერენციაციის შედეგად, დღეს პარონიმული მიმართებითაა შეცვლილი. საერთო ენაში არსებული პარონიმია თუ მეტყველების კულტურის საკითხია, ტერმინოლოგიურ სისტემასა და სამეცნიერო დისკურსში ეპისტემური პრობლემაა და მეტი ზიანის მოტანა შეუძლია. ამდენად, საჭიროდ მიგვაჩნია, რომ უახლოეს ხანებში გამოსაცემ ქართულენოვან ლექსიკონებსა თუ საცნობარო ლიტერატურაში ეს ორი ტერმინი, სათანადო განმარტებებით, დამოუკიდებელ ერთეულებად შევიდეს.

ლიტერატურა

თოფურია, გიგინეიშვილი – ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი (მეორე შევსებული გამოცემა), თბ., 1998.

ღამბაშიძე – რ. ღამბაშიძე, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები, თბ., 1986.

Salome Omiadze

From Technological Synonyms to Technological Paronyms

Summary

The subject of our interest is terminological pair – periphrasis – paraphrase, each from the pair is considered as synonym by some linguists even today. The illustration of this phenomenon is the fact that in the dictionaries, encyclopedias or in other reference literature, that has been published in the last 10-15 years the definition of one word in the pair is followed by the description that it is identical to the other one.

The pair were absolute synonyms in the past, that means they had zero position, today they already distribute contexts, “distribution of context” has already begun and is formalized in the terminological system of some languages. Scientific sites of Russian, English, French and Spanish (may be of other languages too) dictionaries and encyclopedias when looking for pair – **periphrasis** – **paraphrase**, give special instructions and warning not to confuse one with another.

Paraphrase means repetition of someone’s text using different words, whereas **periphrasis** is the type of trope, which **uses several words for describing one (or two) word concept**. One thing they have in common is that both of them are representation of report. Only this information is enough to see the difference in two texts given by the means of paraphrase and periphrasis: paraphrase is far more extensive than periphrasis.

According to the information mentioned above, it can be concluded that, the synonymous relationship between the parts of the pair is shifted to patronymic relationship after the differentiation of meaning. While paronyms are considered as a matter of the speech culture inside a language, in the terminological system and scientific discourse it represents an epistemic problem and can damage this field. Hence we consider it to be necessary for the Georgian dictionaries and encyclopedias that are going to be published, to distribute this words as separate unites with an appropriate meaning.